ადამიანის უფლებების დაცვა, როგორც ხელშეუვალი ღირებულება

ადამიანთა უფლებები და მათი დაცვა ცივილიზებული სამყაროს უმთავრესი ღირებულებაა, რომელიც ეფუძნება 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს მიერ მიღებულ რეზოლუციას. ამ საკითხთან დაკავშირებით პრობლემები ყოველთვის წარმოიქმნებოდა და წარმოიქმნება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ განვითარებულ სახელმწიფოებშიც და მას პოლიტიკური, რასისტული და რელიგიური საფუძვლები აქვს.

ადამიანთა უფლებები საქართველოში 1995 წლის კონსტიტუციის მიღების დღიდან დღემდე მრავალჯერ შელახულა და ამას ძირითადად პოლიტიკური მიზეზები განაპირობებდა. ყველას სმენია 2007 წლის 7 ნოემბერის შესახებ, როდესაც მშვიდობიანი აქცია ჯერ კიდევ მაშინდელმა ხელისუფლებამ სასტიკად დაარბია, შელახა ადამიანთა კონსტიტუციური უფლება, გამოეხატათ საკუთარი აზრი, სპეცრაზმი მომიტინგეებს სასტიკად გაუსწორდა, რასაც მოჰყვა თავისუფალ ტელევიზიაში შეჭრა და მაუწყებლობის შეწყვეტა. არც 2019 წლის 20 ივნისის მოვლენები განსხვავდებოდა დიდად, ამ დღეს მოსახლეობა სავსებით სამართლიანად აპროტესტებდა ოკუპანტი ქვეყნის დუმის წევრის პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩასმას. მიუხედავად იმისა, რომ პროტესტის დროს გარკვეული აგრესია მომიტინგეების მხრიდანაც გამოვლინდა, ხელისუფლების მიერ ცრემლსადენი გაზის, დათვებისთვის განკუთვნილი ტყვიებისა და მომიტინგეთა სახლამდე ხელკეტებით დევნის გამართლება ნამდვილად შეუძლებელია. მითუმეტეს იმის ფონზე, როცა ორივე შემთხვევაში ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ ერთხმად აღიარა გამოყენებული ძალის არაპროპორციულობა. ისევე როგორც 2007 წლის მოვლენების შემდეგ, არც 2019 წლის შემდეგ მიუღიათ აქციაზე დაზარალებულებს რაიმე ტიპის კომპენსაცია, რაც ცხადად მიგვანიშნებს კანონის სისუსტეზე, კანონის სისუსტეს თავისუფალი სასამართლოს არარსებობა განაპირობებს, ხოლო თავისუფალი სასამართლოს არარსებობას - მმართველი პოლიტიკური პარტიის მიერ დემოკრატიის სათავისოდ მანიპულირება, დემოკრატიისა, რომელზეც უინსტონ ჩერჩილი ამბობდა: „დემოკრატია ყველაზე საშინელი მმართველობის ფორმაა, მაგრამ მასზე უკეთესი არ არსებობს''.

ადამიანთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ქვეყანაში კიდევ სხვა მრავალი გამოწვევა არსებობს, მაგალითად: საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ოჯახებიდან ახალგაზრდებს ღირსეული განათლების მისაღებად ქართული ენის ცოდნა ესაჭიროება, თუმცა, სამწუხაროდ, ამ დარგისთვის საკმარისი მასწავლებლების მობილიზაცია ვერ ხერხდება, ხოლო ყველა პროგრამა, რომელიც ამ საქმეს ემსახურებოდა, ამ დროისთვის გაჩერებულია, ეს კი განათლების უფლების ფაქტობრივი დარღვევაა სახელმწიფოს მიერ. განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები ასევე აქვთ შშმ პირებს, რადგან უნივერსიტეტების უმრავლესობა ვერ

ახერხებს მათთვის სწავლის სათანადო პირობების შექმნას და არც სახელმწიფო დგამს ქმედით ნაბიჯებს ამის შესაცვლელად. უდიდეს პრობლემას წარმოადგენს საქართველოს ებელი კოდექსი შრომის შესახებ, განსაკუთრებით კი სამუშაო განაკვეთთან დაკავშირებული საკითხები. ამ უზუსტობებს ხშირად იყენებენ დამსაქმებლები, დასაქმებულების, განსკუთრებით კი არასრულ განაკვეთზე მომუშავე სტუდენტების წინააღმდეგ.

ბავშვთა უფლებების დაცვა ქვეყნის უდიდესი გამოწვევაა და ამ მხრივაც მთელ რიგ დარღვევებს ვაწყდებით. ხშირია მშობელთა მხრიდან ბავშვების მათხოვრობის წახალისება და მათთვის სწავლის უფლების სრული შეზღუდვა. ასევე, ბავშვების ნაადრევ ასაკში დაქორწინება. მიუხედავად იმისა, რომ ამას კანონი კრძალავს, ოჯახები ხშირად მაინც არაოფიციალურად ახერხებენ ამ პრობლემის მოგვარებას. ბოლო წლებში გამოვლინდა მოზარდების პორნოინდუსტრიაში ჩართვის არაერთი ფაქტი , რაც მოზარდზე შეუქცევად და გამოუსწორებელ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ კვალს ტოვებს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში მრავალი სახის პრობლემაა, რომელიც ადამიანთა უფლებების სერიოზულ დისკრიმინაციას უკავშირდება, თუმცა დემოკრატიის ჭეშმარიტი პრინციპების დამკვიდრებით, სასამართლოსთვის თავისუფლების მოპოვებითა და უფრო გონივრული კანონების შექმნით ყველა ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია.

რეზო ბარბაქაძე

სსიპ ვლადიმერ კომაროვის თბილისის

ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის

მე-12 კლასის მოსწავლე